საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გიორგი გზობავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„9" ივლისი, 2025 წელი **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ლევან ნემსაძის** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2025 წლის 9 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ლევან ნემსაძის** კანდიდატურის წარდგენას.

ჩემ მიერ აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის - **ლევან ნემსაძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **ლევან ნემსაძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** მიხედვით, **ლევან ნემსაძე** ჩემ მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **91 (91%)** ქულით *(იხ. ჩემი 2025 წლის 25 ივნისის შეფასება).*

ლევან ნემსაძის კანდიდატურის წარდგენაზე ჩემ მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **ლევან ნემსაძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **1185 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **91,15%**, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რა, რომ კანდიდატი - **ლევან ნემსაძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს** და მისი კანდიდატურა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას, მხარს ვუჭერ **ლევან ნემსაძის** კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა